ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302435871**
თარიღი: **23/12/2024**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2024 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N1785 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძებების განხორციელებისათვის, რომელიც მიიმართება გზების, ხიდების და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2300000 ლარი, გაბიონების მოწყობის სამუშაოების დაფინანსებაზე 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი.

შემოსული წერილების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს; სპორტის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლის 500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს კულტურის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით, ახალგაზრდული მხარდაჭერის პროგრამის გრანტის მუხლის 1500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი 1500 ლარით.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შრომის ანაზღაურების მუხლის 1700 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 1700 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების შრომის ანაზღაურების მუხლის 2050 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოცუზრუნველყოფის მუხლი 2050 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წყლის სისტემის ექსპლოატაციის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 20000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 12000 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის არაფინანსური აქტივების მუხლი 10000 ლარით, სადღესასწაულო ღონისძებების არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით, შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს დასუფთავებისა ნარჩენების გატანის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლი 8500 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 30800 ლარით, გარე განათების ქსელის

ექსპლოატაციის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ფონდი გაიზარდოს 700 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ოფისი მუხლი გაიზარდოს 7000 ლარით.

აღნიშნული ცვლილებები აისახოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი